

## მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების კვლევა ( ადმინისტრაცია)

მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების კვლევა ჩატარდა ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემის (LMS) მეშვეობით. გამოკითხვაში ჩაერთო ადმინისტრაციის 42 თანამშრომელი, რაც საერთო რაოდენობის 51% შეადგენს.

გამოკითხვა მიზნად ისახავდა შეეფასებინა ადმინისტრაციის კმაყოფილება ინვენტრით, კომპიუტერული ბაზით, ჰიგიენური ნორმებით, შეეფასებინა სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

გამოკითხულთა 74% სასწავლო აუდიტორიების ინვენტარს აფასებს კარგად, 26% საშუალოდ.

გამოკითხულთა 74% აზრით უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული ბაზა (ლაბორატორიები, ქსელები, მომსახურება) სრულიად აკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნებს, 26% აზრით კი ნაწილობრივ.

57% აზრით სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი სრულიად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ხოლო 43% აზრით ნაწილობრივ.

ვებ-გვერდი 71% აზრით სრულიად აკმაყოფილებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, 29% აზრით ნაწილობრივ, მასზე ინფორმაციის განახლება 83% აზრით ხდება რეგულარულად, 17% ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

სველი წერტილების მდგომარეობა 81% აზრით სრულიად დამაკმაყოფილებელია, 19% აზრით ნაწილობრივ.

81% აზრით ჰიგიენური ნორმები სტუდენტურ სასაბუთოში სრულიად დამაკმაყოფილებელია, ხოლო 19% აზრით ნაწილობრივ.

გათბობის სისტემას კარგად აფასებს 64%, ხოლო 36% საშუალოდ.

71% აზრით სანიტარული ნორმები/სისუფთავე შენობის შიგნით (დერეფნები, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა ) და ეზოში კარგია 29% აზრით კი საშუალოა.

74% აზრით უნივერსიტეტის წყლითა და ელექტრო- ენერგიით მომარაგება კარგია, ხოლო 26% ნაწილობრივ

სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა 88% აზრით სრულიად დაცულია 10% აზრით ნაწილობრივ, ხოლო 2% აზრით არა

### მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების კვლევა ( სტუდენტები)

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 286 სტუდენტმა, რაც შეადგენს სტუდენტთა 53%.

გამოკითხულთა 54% აზრით უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული ბაზა (ლაბორატორიები, ქსელები, მომსახურება) სრულიად აკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნებს, 42% აზრით ნაწილობრივ ხოლო 4% ცუდად.

გამოკითხულთა 57% სასწავლო აუდიტორიების ინვენტარს აფასებს კარგად, 36% საშუალოდ ხოლო 7% ცუდად.

გამოკითხულ სტუდენტთა 32% აზრით ბიბლიოთეკაში წიგნების საკითხი მოსაგვარებელია, 32% აზრით იქ არაფერი არ უნდა შეიცვალოს, 6% თვლის რომ დარბაზი შესაცვლელია, ყველაფერის შეცვლას ფიქრობს 5%, თანამშრომლებს ასახელებს 4%, დისციპლინის საკითხს ეხება 4%, ხოლო დანარჩენ სხვას 6% ასახელებს.

სველი წერტილების მდგომარეობა 57% აზრით სრულიად დამაკმაყოფილებელია, 32% აზრით ნაწილობრივ ხოლო 11 % აზრით ცუდია.

63% აზრით ჰიგიენური ნორმები სტუდენტურ სასადილოში სრულიად დამაკმაყოფილებელია, 29% აზრით ნაწილობრივ ხოლო 8% აზრით არა

გათბობის სისტემას კარგად აფასებს 45%, ხოლო 55% საშუალოდ.

69% აზრით სანიტარული ნორმები/სისუფთავე შენობის შიგნით (დერეფნები, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა ) და ეზოში კარგია, 29% აზრით საშუალოა, ხოლო 2% თვლის რომ არ არის დაცული.

69% აზრით უნივერსიტეტის წყლითა და ელექტრო- ენერგიით მომარაგება კარგია, 29% თვლის რომ საშუალოა, ხოლო 2% აზრით ცუდია